

განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „ონიქს როუდი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2017 წლის 27 იანვარს.

იურიდიული მისამართი: საქართველო, დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქუჩა №35.

საიდენტიფიკაციო კოდი: 434067109

კომპანიას ყავს ერთი დამფუძნებელი და დირექტორი.

– საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

– საქართველოს ტერიტორიაზე სახიდე გადასასვლელების პროექტირება, მშენებლობა, რეაბილიტაცია, მიწის ვაკისის ჩაწყვეტის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვა, მათი პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია, რეკონსტრუქცია და მშენებლობა, სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა, წყალმომარაგების, კანალიზაციისა და სანიაღვრე სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

– საგზაო-სამშენებლო ტექნიკით მომსახურება.

– სამშენებლო მასალების წარმოება და რეალიზაცია.

– სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

– ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საწარმოს დირექტორი.

ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

– ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა – ელექტრონული ფორმა.

– საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის” შესაბამისად მოქმედი ანგარიშთა გეგმას. ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვე-ანგარიშები.

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

– 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ამასთან ერთად კომპანიამ გამოიყენა სარეკომენდაციო მითითება, რომელიც მე-3 კატეგორიის საწარმოთათვის შედავათს ითვალისწინებს.

– ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობისა და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კომპანიამ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების-შკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

– წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ცალკეა – ქართული ლარი.



შეფასების საფუძველი

– ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

– კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია ანგარიშსწორებებს ახდენს ეროვნული ვალუტით, შესაბამისად ანგარიშგებაც შედგენილია ეროვნულ ვალუტაში.

– ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

მოთხოვნების აღრიცხვა

– ასეთი ტიპის აქტივები წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

– სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს.

კალკულური სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

– მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;

– 50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;

– კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

– ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს;

– ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

– ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

ვალდებულებების აღრიცხვა

– ვალდებულებები წარმოიშობა საქონლისა და მომსახურების მომწოდებლების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად მომწოდებლებს.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს).



საბანკო ვალდებულებები

კომპანია სარგებლობს საბანკო ვალდებულებებით.

შემოსავლების აღრიცხვა

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- ვინაიდან კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ისეთი ტიპის სამშენებლო სამუშაოების მიწოდება, რომელიც დამოკიდებულია დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ხელშეკრულებების ფარგლებში არსებულ ურთიერთობებზე, ხდება პერიოდულად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის (შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ს) გაფორმება.

შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

ხარჯების აღრიცხვა

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით.

მოგება-ზარალი

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

- დივიდენდების გასაცემად;
- საწარმოს რეინვესტირებისათვის;
- სხვა დანიშნულებით, დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.
- მოგების განაწილება და დაბეგვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლის საფუძველზე.

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში გამოიწვია წინა წლის ხარჯის შემცირებამ.

მოგების გადასახადი

- მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის, კერძოდ ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად.

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

- საწარმოს საკუთარი კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს (259996) ლარს.
- კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით.

კობა ონიანი

შპს „ონიქს როუდი“-ს დირექტორი



ფინანსური მდგომარეობა


ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	355	53273
საჭაჭრო და სხვა მოთხოვნები	758618	1414944	1271833
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1670168	1105257	1601382
მარაგები	5488	21326	44492
ძირითადი საშუალებები	56188	91887	208851
სულ აქტივები	2490471	2633769	3179831

ვალდებულებები

საჭაჭრო ვალდებულებები	1328606	1289468	891906
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	699455	51319	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	4190	17510	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	718216		300000
სხვა ვალდებულებები		1264551	1663433
სულ ვალდებულებები	2750467	2622848	2855339

საკუთარი კაპიტალი

გუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-259996	10921	324492
სულ საკუთარი კაპიტალი	-259996	10921	324492
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2490471	2633769	3179831



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	175966	2285895
საქონლის გაყიდვიდან		472330
მომსახურების გაწვიდან	6949	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	169017	1757002
სხვა		56563
გაყიდვების თვითღირებულება	(120503)	(2202027)
საერთო მოგება	55463	83868
სხვა საოპერაციო შემოსავალი		420768
დასაქმებულთა ანაზღაურება	(15091)	(46011)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(25464)	(32737)
საპროცენტო ხარჯი	(5942)	(32090)
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(13178)	(621068)
სულ საოპერაციო ხარჯები	(59675)	(311138)
საოპერაციო მოგება	(4212)	(227270)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(120210)	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(124422)	(227270)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(124422)	(227270)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(124422)	(227270)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	10921	324492
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(146495)	(86301)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(259996)	10921

